სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

დირექტორს ბატონ ნიკა ახალბედაშვილს

შპს "ინდექსი" _ის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ საჯარო განცხადებას აუქციონის დანიშვნის შესახებ (მესაკუთრეები: ფარი ალხან კიზი პ/ნ 36101059619, ჯასარათ ალიევი პ/ნ 36001031293). გთხოვთ, წარმოდგენილი განცხადება 2020 წლის 24 აგვისტოს განათავსოთ საიტზე - www.matsne.gov.ge

დანართი:

1. საჯარო განცხადება აუქციონის დანიშვნის შესახებ
2. განცხადება აუქციონის დანიშვნის შესახებ - ელექტრონული ვერსია (CD)
3. საგადახდო დავალება

თამარ დოსმიშვილი

შპს "ინდექსი"

იურისტი

საჯარო განცხადება
აუქციონის დანიშვნის შესახებ
2020 წლის 20 აგვისტო

სპეციალისტი: შპს „ინდექსი“ (ს/კ 202463342)
აღმასრულებელი დირექტორი გიორგი გოგშელიძე; მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N63, სართული 7
ელ ფოსტა: specialist@mali.ge სადეპოზიტო ანგარიში: GE61TB7600136020100002
სპეციალისტი აცხადებს **პირველი** საჯარო აუქციონს **მესაკუთრის** სახელზე რიცხულ, სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306[2] მუხლის მე-3 ნაწილის, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან მესაკუთრეს ორჯერ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ რისი ჩაბარებაც მესაკუთრეზე ვერ მოხერხდა, აუქციონატორი იყენებს შესაძლებლობას შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.
პუბლიკაცია გამოქვეყნებულია გაზეთ რეზონანსში, ხოლო მეორე საჯარო შეტყობინების საშუალებად გამოყენებულია „საკანონმდებლო მაცნე“. საჯარო შეტყობინება მესაკუთრისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაზეთში ან „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
ყურადღება: თუ აუქციონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეალიზაციის მიზნით ტარდება, განცხადებაში აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ აუქციონში მონაწილე პირი უნდა აკმაყოფილებდეს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

საჯარო აუქციონის საიდენტიფიკაციო ნომერი: M868
უძრავი ნივთის მესაკუთრის სახელი და მისამართი: **ფარი ალხან კიზი პ/ნ 36101059619 მის.: საგარეჯო ს. მუღანლო მე-9 ქ. N5** **ჯასარათ ალიევი პ/ნ 36001031293 მის.: საგარეჯო ს. მუღანლო მე-9 ქ. N5**
აუქციონის ჩატარების დრო: 01/09/2020 წლის 14:00 სთ_დან 04/09/2020 წლის 11:00 სთ_მდე
აუქციონის ჩატარების ადგილი: eAuction.ge, განმკარგავი ორგანიზაცია შპს „ინდექსი”
უძრავი ნივთის საწყისი ფასი: **42 239,92 ლარი** საწყისი ფასი შეადგენს კრედიტორის მოთხოვნის ოდენობისა და აუქციონის ხარჯების ჯამს, კერძოდ, მოთხოვნის ოდენობა - 41 327,52 ლარი, აუქციონის საზღაური - 422,4 ლარი, სპეციალისტის საზღაური - 490 ლარი. მეორე აუქციონზე ხარჯებს დაემატება 120 ლარი. მესამე აუქციონზე ხარჯებს დაემატება ისევ 120 ლარი.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და აღწერა: **გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭანდარი, მე-9 ქუჩა N5; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო); დაზუსტებული ფართობი: 2782.00 კვ.მ.; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01/1 საცხოვრებელი, გაშენების ფართი - 216 კვ.მ. N02/1 საცხოვრებელი - 168 კვ.მ. N03/1 დამხმარე - 120 კვ.მ.; საკადასტრო კოდი: 55.22.52.375;**
გარდამავალი უფლება: არა
სხვა უფლება: არა

აუქციონის პირობები:
ა) აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა პირს, მათ შორის კრედიტორს (სს „თიბისი ბანკი“) მოვალეს ან/და უძრავი ქონების მესაკუთრეს.
ბ) eAuction.ge აუქციონში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია და გადაიხადოს საგარანტიო თანხა შემდეგი ფორმით : 1. ნაღდი ანგარიშსწორებით ლიბერთი ბანკში განაცხადის ნომრითა და პირადობის დამადასტურებელი საბუთით 2. უნაღდო ანგარიშსწორებით eAuction.ge_ ს ვებ გვერდზე მითითებული დანიშნულებით მითითებულ ანგარიშზე 3. eAuction.ge_ ს ვებ - გვერდიდან პლასტიკური ბარათით 4. ელექტრონული საბანკო გარანტიის აქტივაციით.
გაცემული სს „თიბისი ბანკის“ (ბენეფიციარის) სასარგებლოდ, უძრავი ნივთის საწყისიფასის არანაკლებ ერთი მეათედის ოდენობით და გარანტიის მინიმალური ვადით არანაკლებ აუქციონის დასრულების თარიღიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე. პირს, რომელიც ვერ წარმოადგენს შესაბამის საბანკო გარანტიას აუქციონის მითითებული ფორმით, ეკრძალება აუქციონში მონაწილეობა.
გ) აუქციონი მიმდინარეობს მონაწილეთათვის 100, 500 და 1000 ლარიანი ბიჯის ოდენობით.
1 ბიჯის ოდენობა 100 000 ლარამდე ქონების შემთხვევაში განისაზღვრება 100 ლარის ოდენობით. 100 000 ლარს ზევით ქონების შემთხვევაში 500 ლარის ოდენობით, ხოლო 500 000 ლარს ზევით ქონების შემთხვევაში, 1000 ლარის ოდენობით.
შემოთავაზებული ბიჯი შეიძლება იყოს მხოლოდ მზარდი. აუქციონი გრძელდება ბოლო შემოთავაზებამდე. აუქციონზე გამარჯვებულია ის პირი, ვინც უფრო მაღალ ფასს შესთავაზებს.
დ) აუქციონში გამარჯვებულმა აუქციონის თანხა სრულად უნდა შეიტანოს სპეცილისტის სადეპოზიტო ანგარიშზე აუქციონის დასრულების დღიდან 1(ერთი) კვირის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს მის მიერ საბანკო გარანტიის სახით წარმოდგენილ თანხას და უქმდება მისი, როგორც აუქციონზე გამარჯვებულის სტატუსი.
ე) აუქციონში გამარჯვებულის მიერ შესაბამის ვადაში აუქციონის თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში შპს "ინდექსი" მასზე გასცემს განკარგულებას ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების შესახებ.

ყურადღება: ყველა პირი, რომელსაც აქვს რაიმე სახის უფლებები უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარმოადგინოს აუქციონის დაწყებამდე წერილობითი ფორმით, სპეციალისტთან.

სპეციალისტი: შპს „ინდექსი“, აღმასრულებელი დირექტორი გიორგი გოგშელიძე